



რა შედეგებს უზავან მშობლივი აღზრდის პროცესი და როგორ შევამჩნიოთ ბავშვები არსებული ნიჭი

ყოველი ადამიანის სურვილია, მისმა შვილმა მიაგნოს თავის მოწოდებას ცხოვრებაში და საკუთარი საქმიანობით წარმატებებს მიაღწიოს. ადამიანი რომ სრულფასოვანი და წარმატებული პიროვნება გახდეს, ამაში უდიდესი როლი სწორედ მშობელს ენიჭება. როგორ შევამჩნიოთ, თუ რისკენ აქვს ბავშვს მიდრეკილება და ამის შესაბამისად, როგორ დავვავებთ მისი მომავალი, ამ საკითხებზე გვესაუბრება ფსიქოლოგი ანა ცინაძე.

როგორ შევამჩნიოთ, აქვს თუ არა ბავშვს რამე გამორჩეული ნიჭი?

საერთოდ, ცნობილია, რომ ადამიანს ნიჭი აქვს მაშინ, თუ ის ამ ნიჭის საშუალებით ამა თუ იმ სფეროში განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევს. არსებობს მუსიკალური, სამხატვრო, ლიტერატურული, სამსახიობო, საინჟინრო, ლინგვისტური, მათემატიკური, ორგანიზატორული და ნიჭის სხვა მრავალი გამოვლინება. შესაბამისი ბუნებრივი მონაცემების გარეშე ნიჭი არ განვითარდება, თუმცა თანდაყოლილი მონაცემების არსებობა ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს მომავალში ეს ნიჭი განუვითარდება. იმისთვის, რომ ბავშვს განუვითარდეს თანდაყოლილი ნიჭი, საჭიროა, მას ადრეული ასაკიდანვე შეუქმნათ ხელსაყრელი პირობები. როგორც უნდა იყოს თანდაყოლილი მონაცემები, თუ არ მოხდება მათი განვითარება, ნიჭი ვერ გაიხსნება. ლეონარდო და ვინჩი ჯუნგლებში რომ გაზრდილიყო, მისგან ალბათ, ჩინებული მონადირე დადგებოდა, მაგრამ ის არამცდარაა მც არ გახდებოდა „ჯოკონდას“ ავტორი.



ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ნიჭის ფორმირება 13 წლის ასაკისთვის მთავრდება

როგორ უნდა შეუნყოს ხელი მშობელმა ბავშვის ნიჭის განვითარებას?

უპირველეს ყოვლისა, ბავშვს უნდა ჰქონდეს კარგი ბუნებრივი მონაცემები იმისთვის, რომ მომავალში ნიჭი სრულფასოვნად განვითარდეს. სამისო ნიადაგი კი უნდა მომზადდეს სამი წლის ასაკამდე, რადგან სწორედ ამ პერიოდში აღინიშნება ტვინის უჯრედების მიერ ახალი შენაერთების წარმოშობის საგრძნობი აქტივობა (სამი წლის ასაკისთვის ტვინის სტრუქტურის 90 პროცენტი უკვე ჩამოყალიბებულია). იმისთვის, რომ ნიჭი გამოვლინდეს, აუცილებელია, რამდენიმე ფაქტორის ერთობლივი ზემოქმედება: პირველი – ბავშვობის ხანა, რომელიც არ იქნება გადატვირთული სხვადასხვა წრებზე და მეცადინეობებზე გადაჭარბებული სიარულით; მეორე – არასასურველი, თავსმოხვეული, გამუდმებული კონტროლი ბავშვზე; მესამე – არსებითი მნიშვნელობა აქვს კულტურულ ფასეულობებთან (მათ შორის ბიბლიოთეკასთან) ახლო კონტაქტის უზრუნველყოფას და ინტელექტუალურ გარემოში ბავშვის აღზრდას, რაც გულისხმობს სწავლების პროცესში ბავშვის აქტიურ ჩართვას. მაგალითად, მუსიკალური ნიჭის გასავითარებლად არ არის საკმარისი მხოლოდ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკრის ცოდნა, ამისთვის საჭიროა მთავარი ფსიქიკური ფუნქციების – ყურადღების, მეხსიერების, წარმოსახვ-

ის, ლოგიკური აზროვნების, ნებისყოფის განვითარება; მეოთხე – მოსიყვარულე მშობლები და ყურადღებიანი ადამიანები, რომელთაც ბავშვი სიამოვნებით და ინტერესით გაუზიარებს თავის გრძნობებს და აზრებს; მეხუთე – ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ნიჭის ფორმირება მთავრდება 13 წლის ასაკისთვის. ამ ვადის ამონურვამდე მშობლებს და პედაგოგებს მოუწევთ უზარმაზარი სამუშაოს ჩატარება ძალდატანების, თავსმოხვეული კონტროლისა და ბავშვის ცნობიერებაზე ზეწოლის გარეშე. იმისთვის, რომ ბავშვში ჩასახული ნიჭი გამოვლინდეს, მშობლებს განსაკუთრებული ყურადღება მოეთხოვებათ. დაკვირვება აუცილებელია არა მხოლოდ სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, რადგან ეს უკანასკნელი საკმაოდ შეზღუდულია და მათემატიკის, ქიმიის, ენებისა და ლიტერატურის სფეროში გამოვლენილი ნიჭის გარდა, არსე-

მაშვეის სამხატვრო ნიჭზე შეიძლება საუბარი მაშინ, თუ მას ატყვევებს სიციფიში საკუთარი გრძნობებისა და განწყობის გამოსახატავად

ლაზე ნიჭიერი და გამორჩეული ჰგონია... რა შეცდომებს უშვებენ მშობლები?

ცხადია, ყველა ბავშვისგან ვერ გამოვა მოცარტი და აინშტაინი, მაგრამ ნებისმიერ, ყველაზე საშუალო მონაცემების მქონე ბავშვსაც კი აქვს ძლიერი მხარეები. მშობლისთვის აუცილებელია ამ ძლიერი მხარეების ცოდნა და ამანე აღმზრდელობითი და სასწავლო პროცესის აგება. იმ შემთხვევაში, თუ ამას არ გაეწია სათანადო ანგარიში ბავშვობის ასაკში, ამან შესაძლოა, დატოვოს წარუშლელი კვალი ბავშვის შემდგომ ცხოვრებაში, რადგან ის თავს უნიჭო და უსარგებლო ადამიანად გრძნობს. ერთი შეხედვით, თითქოს ყველას ესმის, რომ თანდაყოლილი ბუნებრივი მონაცემები ყველას სხვადასხვა აქვს და სულაც არ არის აუცილებელი,

რომ შვილებსა და მშობლებს ისინი ერთნაირი ჰქონდეთ, მაგრამ ხშირად რეალურ ცხოვრებაში მშობლები ერთსა და იმავე შეცდომებს უშვებენ – ისინი სამყაროს მათებურ აღქმას ახვევენ ბავშვებს თავს და არ ითვალისწინებენ ბავშვის თავისებურებებს. ვთქვათ, დედამამა არის ინტელიგენტი, წყნარი წყვილი, ხოლო მათი შვილი კი თანდაყოლილი ტემპერამენტის წყალობით – აქტიური და მოძრავი. ასეთ დროს მშობლებს ეჩვენებათ, რომ ბავშვი პიპერაქტიურია და უკმაყოფილონი არიან, რაც ბავშვში იწვევს უსიამოვნო შეგრძნებას, რომ ის ცუდია, რადგან მშობლებსგან განსხვავდება, არადა, შესაძლოა, ასეთი ოჯახში გაიზარდოს შესანიშნავი სპორტსმენი მისი სახით. ასევე, ხშირად მშობლები აიძულებენ ბავშვს, ისწავლოს უცხო ენები და აძალებენ, თუმცა შესაძლოა, მას არ აქვს უცხო ენების შესწავლისკენ მიდრეკილება. ასეთ დროს იწყება უკმაყოფილება. ბავშვები მშობლების გულის მოსაგებად იწყებენ სწავლას, მაგრამ ფიზიკურად უჭირთ ამის გაკეთება. ასეთ დროს მშობელი იკმაყოფილებს საკუთარ ამბიციებს და არ ითვალისწინებს ბავშვის სურვილებს. ეს ბავშვზე უარყოფითად მოქმედებს. მშობლებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ნიჭიერი ბავშვი ყოველთვის არ არის ერთნაირად ძლიერი ყველა საგანში.

თუ შეიძლება, კონკრეტულად ჩამოვყალიბოთ, რა მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვს აქვს ესა თუ ის ნიჭი?

თქვენს შვილს აქვს მუსიკალური ნიჭი, თუ მას უყვარს მუსიკა და აქვს მუსიკალური ჩანაწერები. თუ ისწავლის იქით, სადაც შეიძლება მუსიკის მოსმენა, ასევე, თუ ის სწრაფად და ადვილად რეაგირებს რიტმისა და მელოდიაზე, ყურადღებით უსმენს მუსიკას და ადვილად იმახსოვრებს; თუ ის ქმნის საკუთარ მელოდიებს. ბავშვში სამსახიობო ნიჭი ვლინდება შემდეგ შემთხვევებში: თუ ბავშვი ცდილობს, მოსაუბრებში გამოიწვიოს ემოციური რეაქცია, მაშინ, როდესაც რაღაცას ყვება გატაცებით; როდესაც იცვლის ხმის ტონალობას, ტემპს და უნებლად უსმენს ადამიანს, რომელზეც ლაპარაკობს; როდესაც ის დიდი სიამოვნებით გამოდის აუდიტორიის წინაშე, თანაც განსაკუთრებული ენთუზიაზმით ამას უფროსების წინაშე აკეთებს; თუ უყვარს და იზიდავს ლამაზი და სახასიათო ტანსაცმელი. თქვენს ბავშვს არაორდინარული აზროვნება აქვს, თუ: მას აქვს კარგი განსჯის უნარი, ნათელი გონება; ცხმის დაუმთავრებელი ფრაზის აზრი; კარგად იგებს ადამიანების ქცევის მოტივებს; თუ მას აქვს კარგი მეხსიერება, სვამს ბევრ გააზრებულ შეკითხვას, ინტელექტით წინ უსწრებს

თანატოლებს, თანაც შეიძლება ის არ იყოს წარჩინებული მოსწავლე და ხშირად ჩიოდეს, რომ სკოლაში ან ბაღში სწყინდება. სამხატვრო ნიჭზე საუბარი შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ: ბავშვს არ ჰყოფნის სიტყვები საკუთარი გრძნობებისა და განწყობის გამოსახატავად და ამას ხატვის ან ძერწვის დახმარებით აკეთებს; თავის ნახატებსა და ნამუშევრებში გამოხატავს ადამიანების, ცხოველების, საგნების, სიტუაციების მრავალფეროვნებას და არ იფარგლება მხოლოდ ერთი რომელიმე გამოსახულებით, რომლის შესრულებაშიც უკვე დაოსტატდა; თუ თავისუფალ დროს სიამოვნებით უძღვინს ძერწვას, ხატვას, ხაზვას, ახდენს მასალებისა და საღებავების კომბინირებას.

თამუნა ასოპაძე